სემინარი: ძალადობა ახალგზარდა წყვილებში

თეორიული საფუძვლები ფასილიტატორებისათვის[1]

ქალთა მიმართ ძალადობა აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სოციალური პრაქტიკა, რომელიც საზოგადოების შიგნით ჩნდება და მეორდება. მის ზემოქმედებას ქალები ყოველდღიურად განიცდიან, რითაც ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები.

გენდერული ძალადობა სექსისტურ სტერეტორიპებთანაა დაკავშირებული, რომელიც დაგმობის ნაცვლად ამართლებს მამაკაცის ძალადობას ქალზე იმით, რომ უკავშირებს მას მამაკაცურობას. ეს თავის მხრივ ეფუძნება მამაკაცის ქალზე უპირატესობის აზრს, რომელზედაც ზოგიერთი მამაკაცი თავის იდენტობას აგებს (Lawson et al, 2010; Reitzel-Jaffe & Wolfe, 2001; Stith, Smith, Penn, Ward & Tritt, 2004). ამ ტიპის ძალადობა ხშირად გამოიყენება ქალთა და მამაკაცთა შორის ძალაუფლების უთანასწორო განაწილების შესანარჩუნებლად და ამიტომ იკლებს თანასწორობის ზრდის კვალობაზე.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მას გენდერული ძალადობა ეწოდება, იმიტომ, რომ გულისხმობს იერარქიულ ურთიერთობებსა და უთანსაწორობას და არა ბიოლოგიურ სქესს; მას აგებს კულტურა, ის მოდელები, რომელშიდაც ქალებს აქვთ გარკვეული როლები, კაცების როლებისაგან განსხვავებული.

ქალების როლები ყოველთვის სტერეორიპულია. მაგალითად, ქალებს აღიქვამენ ან ავალდებულებენ რომ იყვნენ პასიურები, ნაზები, მორჩილები, დამჯერები, დაუცველები და სხვაზე ზრუნვისთვის მოწოდებულები; მაშინ, როდესაც მამაკაცის როლი ასოცირებულია აგრესიასთან, შეჯიბრთან, წარმატების მაღალ მოთხოვნასთან, სიბრძნესთან, ლიდერობასთან, მამაცობასა და ცოდნასთან. შედეგად გენდერის კონსტრუირებისა და სოციალიზაციის პროცესში ოჯახი ხდება ორიენტირი, რომელთანაც ოჯახის ახალი წევრები ახდენენ იდენტიფიკაციას, ისევე როგორც თავიანთ გარემოცვასთან, იმ მოლოდინებთან, რომელიც მათთან დაკავშირებით გააჩნიათ საზოგადოების და თემის წარმომადგენლებს. მოზრდილები ის არიან ადამიანები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათი - გოგონებისა და ბიჭების იდენტობის ფორმირებაზე და ამ გზით გენედრული მოდელები გადაეცემათ მათ უკვე ადრეული ასაკიდან,

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამჟამინდელი საზოგადოება ახდენს სქესთა შორის უთანასწორობის, მორჩილებისა და დომინანტობის სტერეოტიპების გავრცელებას, როგორც მიუთითებენ Barberá and Martínez (2004)-ი, „ეს ხდება სექსისტური განათლების მეშვეობით, რომელიც ხორციელდება სოციალიზაციის სხვადასხვა უწყების მიერ“. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ახსოვდეთ, რომ ადრეულ ასაკში გენდერული ძალადობის გამოვლინება იქცევა ქცევით მოდელად და

[1] მოცემული თეორიული ჩარჩო შეგიძლიათ იხილოთ ონლაინ პლატფორმაზე

მოზრდილ ასაკში გენდერული ძალადობის უტყუარი ინდიკატორი ხდება (Sánchez, 2016).

ახალგაზრდულ ასაკში გენდერული ძალადობის რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც Carmen Ruiz Repullo (2016)-ის მიერ იქნა განხორციელებული, დადგინდა, რომ (ინტერვიუერების პირადი ისტორიების გაცნობის შემდეგ), ახალაგაზრდებში გენდერული ძალადობა სიმბოლურად წარმოდგენილია ციკლური კიბის (cyclic ladder) სახით, რომელზედაც ადამიანები სხვადასხვა სიჩქარით ადიან.

Ruiz -ის მიხედვით, პირველი საფეხურები ნიღბავს ძალადობას „სიყვარულის“ სახელით, სადაც გოგონა ეჩვევა ბიჭის მოთხოვნებს. თუმცა, ყოველ ჯერზე ძალადობის გაჩენა ნაკლებად ბუნდოვანი და სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება. ეს არის ციკლური კიბე, რადგან ყოველ საფეხურზე ადგილი აქვს ძალადობის სპირალს, დაძაბულობას, აფეთქებას და სინანულს. ყოველ საფეხურზე გოგონას მოეთხოვება შეეგუოს ურთიერთობაში დომინანტობის ამა თუ იმ გამოვლინებას. რაც უფრო მეტი საფეხურის ავლა ხდება, მით უფრო ძნელდება ასვლა. თუმცა ყოველთვის არსებობს გამოსვლის შესაძლებლობა.

1წყარო: Ruiz-ის კვლევიდან (2016)

ახალგაზრდებში სოციალური აგენტების (განსაკუთრებით კი მედიის) გავლენით შექმნილ წარმოდგენებს სიყვარულის შესახებ მივყავართ იმასთან, რომ ახალგაზრდებში მოწონება და არჩევანი არ არის თავისუფალი ძალაუფლების

ასიმეტრიულობისა და გოგონად და ბიჭად ყოფნის დამკვიდრებული მოდელებისაგან (Gómez, 2004).
მოხიბვლის პროცესი (the process of attraction) გაგებულია, როგორც სოციალურად კონსტრუირებული მექანიზმი, რომელიც ეფუძნება გაბატონებულ, სასურველ მოდელს. ეს არის პროცესი, რომელიც აგებს სასურველ იდენტობას, როგორც ქალის, ისე მამაკაცისათვის. აძლიერებს რა მას სოციალური აგენტები, განსაკუთრებით კი მედია, „ცუდი ბიჭის“ მოდელი წარმოდგება როგორც სექსუალური და „კარგი ბიჭი“ როგორც მეგობარული (Gómez, 2004; Amurrio, 2008).

არჩევანის პროცესი ინდივიდუალური აქტია, თუმცა ის არ არის თავისუფალი სოციალური ზეგავლენისაგან, რადგან ზოგადად არჩეული მოდელები არიან ის მოდელები, რომლებსაც საზოგადოება ნერგავს და მიიჩნევს სასურველად: „ .... ის ადამიანები, რომლებსაც ჩვენ მივიჩნევთ მიმზიდველად ან არამიმზიდველად გაშინაგნებულია სოციალიზაციისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში, მაგრამ ეს ეხება არა მხოლოდ ფიზიკურ მიმზიდველობას, არამედ ქცევებსაც, რომლებიც შეიძლება იყვენენ მიმზიდველნი და არამიმზიდველი“ (Duque, 2006: 79).

ის, რაც ახალგაზრდულ ურთიერთობებში სიყვარულის სოციალური კონსტრუირების მიღმაა, არის ეგრეთ წოდებული რომანტიკული სიყვარული. Esteban, Medina and Távora (2005)-ის სიტყვებით, რომანტიკული სიყვარული: „ . . . არის სიყვარულის ერთ-ერთი სახე, რომელიც მოიცავს სექსუალურ ლტოლვას და რომელიც აღიქმება როგორც ერთადერთი და განსხვავებული სხვა სახის სიყვარულისაგან, იმ სიახლოვის გამო, რომელსაც ის ქმნის, იმ ვალდებულებების გამო, რომელსაც ის ამსუბუქებს და იმ აღქმების გამო, რომელსაც ის იწვევს.

რომანტიკული სიყვარულის შესახებ ზოგიერთი განხილული შრომა შეეხება რომანტიკული სიყვარულის შესახებ არსებულ მითებს. მითი შეიძლება გავიგოთ, როგორც წინასწარწმენების შემცველი შეხედულება, რომელიც როცა ის ეხება რომანტიკულ სიყვარულს, აჩვენებს ერთგვარ „საერთო ჭეშმარიტებას“, რომელიც ამკვიდრებს უთანასწორო როლებს და ძალაუფლების ასიმეტრიულობას ბიჭებისა გოგონების მიმართ და რომელიც მოიაზრება როგორც მათი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი (Ruiz, 2016).

ესენი წარმოადგენენ მცდარ შეხედულებებს, „ რომლებსაც გააჩნიათ დიდი ემოციური მუხტი, იწვევენ გრნობებს და ხშირად ხელს უწყობენ ჯგუფის იდეოლოგიის შექმნასა და შენარჩუნებას, ამის გამო არიან რეზისტენტულნი ცვლილებისა და მსჯელობის მიმართ“ (Ferrer et al., 2010). რომანტიკული სიყვარულის სფეროში ეს მითები ქმნიან საერთო წარმოდგენებს „ჭეშმარიტი სიყვარულის“ შესახებ, სიყვარულის ჭეშმარიტი ბუნების შესახებ. თუმცა, მითების არსებობა, რომელიც მხარს უჭერს რომანტიკული სიყვარულის იდეალს შეიძლება ჩაითვალოს რისკ ფაქტორად მოზარდთა სასიყვარულო ურთიერთობებში (Luzón, 2011).

სემინარი

სემინარზე ჩვენ გამოვიყენებთ Love&Respect-ის ქვიზის აპლიკაციას, როგორც ძირითად ინსტრუმენტს. ჩვენ გამოვიყენებთ მის პირველ ქვიზს, რომლის სახელია: „შეგიძლიათ ჯანმრთელი ურთიერთობების გამოცნობა?“, იმ მიზნით, რომ დამყარდეს ურთიეთობა მოზარდებთან, რომ შეიქმნას მონაცემთა ბაზა და ჩამონათვალი მათი აზრებისა იმის შესახებ - აღწერილი ქცევა განეკუთვნება ჯანმრთელ თუ ტოქსიკურ ურთუერთობას.

მასალები

- მობილური ტელეფონი
- Love and Respect -ის ქვიზის აპლიკაცია ან,
- ლაფთოფი
- Kahoot [2] -ი
- პროექტორი
- A2 ფურცელი
- მარკერები, კალმისტრები, სხვ

მიზნები

- „რომანტიკული სიყვარულის“ შესახებ შეხედულებების იდენტიფიკაცია.
- მგრძნობელობის ამაღლება ცხოვრებაში ძალადობრივი/ტოქსიკური ქცევების ნორმალიზაციის მიმართ და საკითხზე, თუ როგორ იწვევს ეს ქცევა ძალადობას მოზარდთა ურთიერთობებში.

ინსტრუქციები

ქვიზში წარმოდგენილია სხვადასხვა სახის ურთიერთობები. მას შემდეგ, რაც ყველა წაიკითხავს მათ შესახებ და გააკეთევს არჩევანს, იწყება კომენტარების რაუნდი. მოდერატორი ქვიზში აღწერილ სიტუაციათან დაკავშირებით სვამს შეკითხვებს და ხელს უწყობს ახალგაზრდებს შორის მსჯელობის დაწყებას.

ყოველი სიტუაციიდან უნდა გამოიკვეთოს ფრაზა ან დებულება, ამ სიტუაციაზე მსჯელობის დასკვნის სახით. ეს დებულება დაიწერება A2 ფურცელზე, რომ შეიქმნას „ ჯანსაღი ურთიერთობების დამახასიათებელი ნიშნების“ ჩამონათვალი. მას შემდეგ, რაც ეს ჩამონათვალი გაკეთდება, ის დამაგრდება საკლასო ოთახის კედელზე და მთელი წლის განმავლობაში იქნება იქ.

დანართი 1: სიტუაციები და პასუხები

სიტუაცია 1

[2] დანართში 1-ში თქვენ ნახავთ სიტუაციებისა და პასუხების გაშიფვრას რომ შექმნათ Kahoot ან გამოიყენოთ ტექნიკური მოწყობილობების გარეშე.

სოფიო და პიტერი ხვდებიან ერთმანეთს უკვე გარკვეული ხანია. ორივე შეყვარებულია და ხშირად უკავშირდებიან ერთმანეთს მესინჯერის საშუალებით. სოფიო წერს პიტერს, როცა კი ერთად არ არიან. თუ კი პიტერი მაშინვე არ უპასუხებს, სოფიო ეკითხება თუ რაშია საქმე, არის თუ არა კარგად. სოფიოს მიაჩნია, რომ ამით ის ავლენს თავის ინტერესსა და სიყვარულს პიტერისადმი.

პასუხი:
კომუნიკაცია უმნიშვნელვანესია ჯანსაღი ურთიერთობისათვის. მაგრამ ყველას აქვს უფლება ზოგჯერ „არ იყოს ხაზზე“ და ქონდეს თავისი პირადი სივრცე. შენს პარტნიორს არა აქვს უფლება აგავსოს თავისი ზარებითა და შეტყობინებებით და მუდმივად მოითხოვოს ინფორმაცია თუ სად იმყოფები და რას აკეთებ.

მე-2 სიტუაცია
პიტერი ზოგჯერ უხასიათოდაა. სოფიო ცდილობს დაეხმაროს მას, უსმენს მას, ცდილობს მის გამხნევებას. ერთხელ სოფიოს დასვენება მოუნდა და თავის მეგობართან ერთად კინოში წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ პიტერი იმ დღეს არ იყო კარგად. შემდეგ პიტერმა უთხრა მას: „ შენთვის სულერთია როგორ ვგრძნობ მე თავს“ და „ ეხლა შენს გამო კიდევ უფრო ცუდად ვარ“.

პასუხი:
ჩვენ ველით, რომ ჩვენი პარტნიორი ყოველთვის ჩვენს გვერდზე იქნება, რომ ის იზრუნებს და მხარს დაგვიჭერს. მაგრამ ეს არ უნდა იქნას აღქმული როგორც თავისთავად ნაგულისხმევი რამ, ყველა პასუხისმგებელია საკუთარ ემოციებზე, თუმც ზოგჯერ შეიძლება არ იყოს ადვილი ამის კეთება. არ არის სამართლიანი ელოდო, რომ შენი პარტნიორი ყოველთვის დაგეხმარება და მით უმეტეს არც მისი დადანაშაულებაა სამართლიანი იმაში იმაში, თუ როგორ გრძნობ თავს შენ.

მე-3 სიტუაცია

სოფიო ხშირად ეუბნება პიტერს ამდაგვარ სიტყვებს: „ შენ ხარ ჩემი ყველაფერი“ ან „შენს გარეშე მე ვარ არაფერი“. სოფიოს მიაჩნია, რომ ეს არის მისი სიყვარულის დამადასტურებელი სიტყვები. პიტერი კი ამ დროს გრძნობს დისკომფორტს და ამას უზიარებს სოფიოს. შემდეგ სოფიო უკვე აღარ იმეორებს მსგავს ფრაზებს.

პასუხი:
ყველა ჩვენგანს ალბათ ოდესმე უთქვამს ასეთი რამ, არა? ეს ცუდია, თუ უბრალოდ რომანტიკულია? თქვენმა პარტნიორმა შეიძლება ეს სიტყვები ისე აღიქვას, თითქოს თქვენთვის თქვენი დანარჩენი ცხოვრება არაფერს ნიშნავს, მან შეიძლება საკუთარ თავზე გარკვეული ზეწოლა იგრძნოს და ასევე უკიდურესად დიდი პასუხისმგებლობა თქვენს მიმართ. „მე შენ მიყვარხარ“, „ მომწონხარ“ ან „ შენ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი ხარ“ - შესაძლოა ამ სიტყვების თქმა თქვენი სიყვარულის

გამოხატვის უკეთესი გზა იყოს. ასევე, არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ თვითონ ხართ თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნებას.

მე-4 სიტუაცია

ალექსიმ, სოფიოს ყოფილმა თანაკლასელმა სოფიო დაამატა თავის ფეისბუქის მეგობრებში. მათ ისაუბრეს და შეთახმდენ შეხვედრაზე ყავის დასალევად. პიტერმა თავდაპირველად იეჭვიანა, მაგრამ არაფერი უთქვამს სოფიოსთვის. მოგვიანებით კი კითხრა მას ამ შეხვედრის შესახებ და სოფიომაც უამბო ზოგიერთი რამ ალექსისთან საუბრიდან.

პასუხი:
ზოგჯერ შეიძლება ურთიერთობაში იგრძნო გარკვეული დაუცველობა. თუმცა მაკონტროლებელ და მესაკუთრულ ქცევას შეიძლება არ ქონდეს ადგილი. თქვენ და თქვენი პარტნიორი იმსახურებთ ნდობას და გაქვთ უფლება გყავდეთ მეგობრები და გაატაროთ დრო მათთან ერთად. პატივი ეცით ერთამანეთის პირად ცხოვრებას და ღიად ისაუბრეთ თქვენს გრძნობებზე.

მე-5 სიტუაცია

პიტერი ბევრ დროს ატარებდა თავის საუკეთესო მეგობარ ანასთან ერთად. სოფიო ძალიან გაღიზიანებული იყო და უთხრა პიტერს, რომ დარწმუნებულია ანას მეგობრობაზე მეტი სურს მისგან. პიტერმა უარყო ეს, თქვა რომ ის და ანა და-ძმასავით არიან. სოფიომ ეს არ დაიჯერა და განაცხადა: „ან მე, ან ის“.

პასუხი:
უნდობლობა და უკიდურესი დაუცველობა არ განეკუთვნება ჯანსაღ ურთიერთობას. შენს პარტნიორს არ აქვს უფლება გადაწყვიტოს ვისთან ერთად გაატარებ დროს და შეზღუდოს შენი სოციალური კონტაქტები მეგობრებთან თუ ოჯახის წევრებთან. ჩვენ ცხოვრებაში ბევრი სფეროებია და სასიყვარულო ურთერთობა არის ერთ-ერთი მათგანი.

მე-6 სიტუაცია

სოფიო გულმოდგინედ მეცადინეობდა და მოიპოვა ერთწლიანი სტიპენდია ძალიან კარგ სკოლაში. მას უნდოდა ეს ამბავი აღენიშნა პიტერთან ერთად. მეორეს მხრივ, პიტერს არ ქონდა ასეთი წარმატება, ის გამოცდების ჩაბარებას ცდილობდა. თუმცა მან გადაწყვიტა აღენიშნა სოფიოსთან ერთად მისი წარმატება და სთხოვა მას დახმარებოდა მეცადინეობაში.

პასუხი:

ჯანსაღ ურთიერთობებში პარტნიორებს ახარებთ ერთამანეთის წარმატებები/მიღწევები. არ დაუშვათ, რომ დაუცველობა ან შური თქვენი პარტნიორის წარმატების გამო, ჩადგეს თქვენს შორის. სავსებით ნორმალურია ითხოვო დახმარება და ისწავლო შენი პარტნიორის ძლიერი მხარეებისაგან. თანაგრძნობა ძალიან მნიშვნელოვანია ურთიერთობაში და გახსოვდეთ, თქვენ და თქვენი პარტნიორი ერთი გუნდის წევრები ხართ. ამ გზით თქვენ გაამდიდრებთ ერთამენთის ცხოვრებას.

მე-7 სიტუაცია

პიტერის მშობლები უქმეების გასატარებლად გაემგზავრნენ და მან სოფიო სახლში დაპატიჟა, იმ იმედით რომ ექნებოდან მასთან სექსი. მათ უყურეს ფილმს და შემდეგ დაიწყეს ერთმანეთის კოცნა და მოფერება. სოფიომ შეაჩერა პიტერი და უთხრა, რომ არ არის მზად სექსისთვის. პიტერს იმედი გაუცრუვდა, მაგრამ სოფიოს უთხრა - არაფერიაო!

პასუხი:
არავის აქვს სექსისა და ინტიმურობის ვალი თავის პარტნიორისადმი, მაშინაც კი თუ ურთიერთობა კარგა ხნის დაწყებულია და მათ უყვართ ერთმანეთი. ნებისმიერ სიტუაციაში ეს შენი გადასაწყვტია - გინდა თუ არა. შენმა პარტნიორმა ამას პატივი უნდა სცეს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ არ გიყვარს ის. დაყოლიება ან თუნდაც „მიწოლა“ არ არის მისაღები. არა ნიშნავს არას ურთერთობის ნებისმიერ მომენტში, მაშინაც კი თუ თქვენ მანამდე თქვით კი, არც გაჩუმება ნიშნავს დათანხმებას. მხოლოდ კი ნიშნავს კის.

სიტუაცია 8

პიტერმა გადაწყვიტა სოფიოს გაკვირვება მისი დაბადების დღისათვის სადილის მომზადებით. მან დაპატიჟა თავისი მეგობარი წყვილი. სადილის დროს სოფიო აკეთებს რამოდენიმე კომენტარს და ხუმრობს საჭმელთან დაკავშირებით: „ იმედია ყველას გაქვთ ჯანმრთელობის კარგი დაზღვევა, რადგან შეიძლება სადილი საავადმყოფოში დავასრულოთ“

პასუხი:
კონსტრუქციული კრიტიკა მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ მასაც აქვს თავისი დრო და ადგილი.თუმცა ეს უფრო გავს ადამიანში დაბნეულობის გამოწვევის შეგნებულ მცდელობას მეგობრების წინაშე და პარტნიორის თვით-პატივისცემაზე ზემოქმედებას. თუ მსგავს სიტუაციას ადგილი აქვს თქვენს ურთიერთობაში, ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოხატულება. კარგად დაფიქრდით, რა მდგომარეობაში ჩააგდებს თქვენი ხუმრობა თქვენს პარტნიორს.

სიტუაცია 9

სოფიო ჩაირიცხა ძალიან კარგ უნივესიტეტში, რომელიც სხვა ქალაქშია. მისი ოცნება ახდა და მან პირველად პიტერს გაუზიარა ეს ახალი ამბავი, რადგან სურს რომ დაგეგმოს თუ როგორ შეინარჩუნონ ურთიერთობა მომავალში. მაგრამ, ამის ნაცვლად პიტერი თხოვს მას, უარი თქვას ამ შესაძლებლობაზე და მასთან ერთად დარჩეს თავიანთ ქალაქში.

პასუხი:
ჯანსაღ ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ხდებოდეს ერთნამეთის ოცნებების მხარდაჭერა და შექმნილი სირთულეებისათვის გამოსავლის ერთბლივად ძიება. არ არის სწორი სხვის მაგივრად გადაწვიტოთ -თუ რა უნდა ქნას მან, ან უბიძგოთ მას მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც მოგვიანებით ინანებს.

სიტუაცია 10

რამოდენიმე თვის ურთიერთობის შემდეგ სოფიო და პიტერი თანხმდებიან, რომ არ შეეფერებიან ერთანეთს და გადაწყვეტენ დაშორებას. მეგობებმა სოფიოს უთხრეს, რომ პიტერი ყველას ეუბნება, რომ სოფიო მან მიატოვა, რადგან „ იყო ძალიან გარყვნილი“.

პასუხი:
ჭორების გავრცელება მიუღებელია, მაშინაც კი თუ ადამიანი ძალიან გულგატეხილია დაშორების გამო. განსაკუთრებით ისეთ სენსიტიურ საკითხზე, როგორიცაა ვინმეს პირადი ცხოვრება და სექსუალური რეპუტაცია. ასევე მიუღებელია, ვინმეზე იმის თქმა, რომ ის გარყვნილია, არავის აქვს თქვენი განსჯის უფლება თქვენი სექსუალური ცხოვრების გამო.